საქართველოს პარლამენტის კულტურის კომიტეტის თავმჯდომარის გიორგი გაბუნიას, სამუშაო ვიზიტის ანგარიში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში.

2025 წლის 7-12 ივლისი

პარლამენტის კულტურის კომიტეტის თავმჯდომარე გიორგი გაბუნია პეკინში, „გლობალური ცივილიზაციების დიალოგის მინისტერიალს“ დაესწრო.

მინისტერიალი წელს პირველად გაიმართა, რომელსაც 140 ქვეყნის პოლიტიკური პარტიების ლიდერები, მთავრობისა და საერთაშორისო ორგანიზაციების ხელმძღვანელები, ეკონომიკის, კულტურის, განათლების, ტელევიზიის, კინოს, მეცნიერების, ტექნოლოგიების, გარემოს დაცვის, სპორტის და მედიის წარმომადგენლები დაესწრნენ.

მინისტერიალის ჩატარების ინიციატივა გამოხატავს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მზაობას, კაცობრიობის პროგრესის წინსვლის ხელშეწყობის მიზნით, მსოფლიოს ქვეყნებთან ითანამშრომლოს.

გლობალურ ცივილიზაციებს შორის დიალოგის იდეა ჩინეთის პრეზიდენტმა სი ძიპინმა 2023 წელს წამოაყენა.

მინისტერიალის გახსნით სესიაზე მონაწილეებმა თანამშრომლობის ხელშეწყობის შესაძლებლობებზე იმსჯელეს.

ასევე, „გლობალური ცივილიზაციების დიალოგის მინისტერიალის“ ფარგლებში გამართულ ფორუმზე, გიორგი გაბუნია მოხსენებით წარსდგა აუდიტორიის წინაშე.

მან ფორუმის მონაწილეებს ინკლუზიური მსოფლიოს ჩამოყალიბების შესახებ საკუთარი ხედვა გააცნო.